პროექტის რეფლექსია

2019 წლის 7 მარტს სსიპ-წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ფარცხანაყანევის N1 საჯარო სკოლაში შედგა მეცხრეკლასელების მიერ განხორციელებული პროექტის "Масленица в нашей школе" პრეზენტაცია. პრეზენტაცია იყო საბოლოო პროდუქტი პროექტის განხორციელებას პროცესში .

პროექტი დაგეგმილი და შეთანხმებული იყო სკოლის ადმინიოსტრაციასთან.

პროექტის მიმდინარეობა წარიმართა გეგმის მიხედვით. მიმდინარეობის დროს გეგმაში ცვლილება არ განხორციელებულა და ყველა აქტივობა იქნა შესრულებული. ჩემი აზრით მიზანი იყო მიღწეული.

პრეზენტაციის წარდგენა ჯგუფმა გადაწყვიტა ღონისძიების სახით. თვითონ შეადგინეს სცენარი და მოახდინეს მისი ორგანიზება.

ჩემი აზრით პროექტში მონაწილეებს აუმაღლდათ შინაგანი მოტივაცია,გაიზარდა მათი ცართულობა, გამოიკვეთა მოსწავლეთა ინტერესის სფერო , განუვითარდათ კრიტიკული და ანალიტიკური უნარი, ისწავლეს ჯგუფში პროდუქტიული მუშაობა.

უკუკავშირისას მამოსწავლეებმა აღნიშნეს, რომ მიიღეს

- ინფორმაციის მოძიების სრული თავისუფლება;
- გამოცდილება მთავარისა და არამთავარის განსაზღვრის;
- გამოცდილება წარმატებული პრეზენტაციის მომზადების;
- გამოცდილება შეასრულონ ისეთი საქმიანობა, რომელიც მათთვის საინტერეოა;
- ინტერნეტისა და ინფორმაციული რესურსებით სარგებლობის;
- ინფორმაცია სხვადასხვა ბლითების რეცეპტების შესახებ;
- მონაწილეობა ბლითების დაგემოვნებაში;
- საჯარო გამოსვლის გამოცდილება;
- გამოცდილება სწავლა პროექტებით;

პრეზენტაცია მოეწყო ისტ-ის კაბინეტში და დაესწრო ჩემი კოლეგებიც. ვფიქრობ, ჩემი კოლეგებისთვის საინტერესო იყო იმმხრივ, რომ მათ გაიზიარეს გამოცდილება, შესაძლებელია გაუჩნდათ სურვილი გარკვეული ელემენტების საკუტარ პრაქტიკაში მარგება ან უბიძგებს ახალი იდეებისკენ. სხვა კლასის მოსწავლეები ინტერესით უსმენდნენ და სათანადოდ შეაფასეს პრეზენტაციის ვიზუალური მხარე. მათ აქტიური მონაწილეობა მიიღეს პრეზენტაციის შემდეგ მოწყობილ ბლინების დეგუსტაციაში და თამაშებში. ინტერვიუების დროს, აღნიშნეს, რომ მომავალში აქტიურად მიიღებენ მონაწილეობას მსგავს პროექტებში.

პროექტის პრეზენტაციის დასრულებისას კიდევ ერტხელ დავრწმუნდი, რომ ჩემს მიერ დაგეგმილი პროექტი იყო საინტერესო. ამას ადასტურებს პრეზენტაციის სემდეგ კოლეგების საუბარი იმის შესახებ, რამდენად მნიშვნელოვანია მსგავსი პროექტების ჩატარება. მოსწავლეების ანათებული თვალები მაჩვენებდა , რომ მატ გაეზარდათ ინტერესი საგნის მოიმართ.

პროექტზე მუშაობა არის საინტერესო და შრომატევადი. მომდევნო პროექტის განხორციელების დროს ვეცდები, ჩავრთო უფრო მეტი მონაწილე.

ია ჭყონია.
11.03.2019.